სსიპ -კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წლიური ანგარიში

2019 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121\ნ ბრძანების საფუძველზე. კოლეჯი წარმოადგენს სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” უფლებამონაცვლეს, რომელიც 2012 წელს დაფუძნდა.

კოლეჯის მიზანია სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა, მისია და მიზნები

კოლეჯის ხედვაა, 2024 წლისთვის კოლეჯი იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44
www.profgldani.ge
profgldaniedu@gmail.com
ტელ: + 995 32 2140314, + 995 32 2140315

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსები

კოლეჯს 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულელებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს მე-3-4-5 საფეხურის/დონის შემდეგი პროგრამები:

- **ბუღალტრული აღრიცხვა (მე-5 დონე);**
- **ვებპროგრამისტი, (მე-5 საფეხური);**
- **ინფორმაციის ტექნოლოგია, (მე-3 დონე);**
- **ინფორმაციის ტექნოლოგია, (მე-3 დონე), „დუალური“ მიდგომით;**
- **კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (მე-5 საფეხური);**
- **კომპიუტერული ქსელი და სისტემები, (მე-4 დონე);**
- **საფინანსო სერვისები, (მე-3 დონე);**
- **საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (მე-3 საფეხური);**
- **სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (მე-5 საფეხური);**
- **საოფისე საქმე, (მე-4 დონე);**
- **სამკერვალო წარმოება, (მე-3 დონე);**
- **აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება, (მე-4 დონე).**

კოლეჯში ასევე ისწავლება შემდეგი სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (ტრენინგ-კურსები):

- *ბუღალტრული აღრიცხვა;*
- *ინფორმაციის ტექნოლოგია (კომპიუტერული ტექნიკის არქიტექტურა და ინჟინერია);*
- *ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;*
- *ოფისის მენეჯერი;*
- *კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება);*
- *კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი;*
- *„ამზომველ-ტოპოგრაფი (აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება)“;*
- *მეწარმეობა (მცირე ბიზნესის მწარმოებელი);*
- *ძრავის შემკეთებელი;*
- *მოლარე;*
- *ვებ-პროგრამისტი;*
- *„მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“;*
- *„ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“;*
- *გერმანული ენა;*
- *ინგლისური ენა;*
- *„მართვის მოწმობა“ (ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვა - თეორიული საკითხები);*
- *პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;*
- *საქმიანი ურთიერთობის კულტურა;*
- *კომუნიკაცია;*
- *სალარო ოპერაციების განხორციელება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.*

არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პედაგოგებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით, არსებობს თანამედროვე სალექციო აუდიტორიები, მუდმივად ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასები და

ლაბორატორიები. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ. კოლეჯში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

სპეციალობებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციებს სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

2019 წელს კოლეჯში გაიმართა რამდენიმე დასაქმების ფორუმი, რომლებიც ინიცირებული იყო, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, ესენია: „ნიკორა“, „სპარი“, „ლიბერთი ბანკი“, „news group”, „ჯი-პი-აი“, „ირაო“, „გორგია“, „Sales Partner Group”, „Flexmedia”, „WORCO”, „კარფური“ და სხვა. დასაქმების ფორუმებზე მოქმედ სსსმ სტუდენტებთან ერთად აქტიურობდნენ კოლეჯის კურსდამთავრებულებიც.

კოლეჯში ჩარიცხული სსსმ და/ან შშმ სტუდენტების რაოდენობა და მათი საჭიროებები

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და/ან შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2019 წლის გაზაფხულის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა და სწავლას აგრძელებს 1 სსსმ სტუდენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“.

2019 წლის შემოდგომის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა და სწავლას აგრძელებს 4 სსსმ სტუდენტი შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი;
- „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“ (მე-3 საფეხური) - 2 სსსმ სტუდენტი;
- „ვებ პროგრამისტი“ (მე-5 საფეხური) - 1 სსსმ სტუდენტი.

2019 წელს მიღებულ სსსმ სტუდენტებთან ერთად, კოლეჯში სწავლას აგრძელებს 2018 წლის შემოდგომაზე მიღებული 3 სსსმ სტუდენტი:

- „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი;
- „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“ (მე-4 საფეხური) - 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (მე-4 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი.

2019 წლის 24 მაისს 1/3 საკონტაქტო საათების დასაშვები რაოდენობის გადაჭარბების გამო სტუდენტთა სახელობის სიიდან ამორიცხულ იქნა 1 სტუდენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

2019 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 3 სსსმ სტუდენტს, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- „საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი;
- „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი;
- „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“ (მე-4 საფეხური) - 1 სსსმ სტუდენტი.

ასევე, 2019 წელს 4 სსსმ სტუდენტმა დაასრულა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით:

- „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (მე-3 დონე) - 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი;
- „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“ (მე-4 საფეხური) - 1 სსსმ სტუდენტი.

ამჟამად, კოლეჯში ირიცხება და სწავლას აგრძელებს 8 სსსმ სტუდენტი შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) - 2 სსსმ სტუდენტი;
- „საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი;
- „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“ (მე-3 საფეხური) - 3 სსსმ სტუდენტი;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (მე-4 დონე) - 1 სსსმ სტუდენტი;
- „ვებ პროგრამისტი) (მე-5 საფეხური) - 1 სსსმ სტუდენტი.

2019 წლის გაზაფხულის მიღებაზე, ალტერნატიული ტესტირების შედეგად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს აღენიშნებოდა ცერებრული დამბლა, ჰქონდა შორ მანძილზე გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულე. სამედიცინო დიაგნოზისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე, დადგა საჭიროება უზრუნველყოფილიყო მისი ტრანსპორტირება სახლიდან კოლეჯამდე და პირიქით. კოლეჯმა მოიძია ორგანიზაცია, გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სსსმ სტუდენტს, 2019 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ავტომობილი და უზრუნველყოფდა მის გადაადგილებას.

კოლეჯში სსსმსტუდენტებისათვის შექმნილია ყველა პირობა, მიიღონ ხარისხიანი, პროფესიული განათლება. ზემოხსენებული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისას გაწეული მხარდაჭერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, 2015 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით, კოლეჯში დღემდე დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების ერთი სპეციალისტი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაზე მონიტორინგის მიზნით, რეგულარულად ხდება დაკვირვება სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის შესაძლებლობების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება ან/და აკომოდაცია, ასევე, ხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები სსსმ პროფესიული სტუდენტების მშობლებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, ამ შეხვედრებისას ისინი იღებენ ინფორმაციას პროფესიული ინკლუზიური განათლების შესახებ, განიხილება სწავლებასთან მიმართებაში სსსმ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებანი, ლექციებზე დასწრებისა და მოტივაციის ამაღლების, ასევე დაუდასტურებელი მოდულების გავლის საკითხები. საჭიროების შემთხვევაში მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან აქტიურად ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია, არსებული წარმატებისა და გამოწვევების გაცნობა, სასწავლო პროცესში ცვლილებების, სასწავლო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ინკლუზიური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

2019 წლის 1 აპრილს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა კონფერენცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა არსებული მიღწევებისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვა. შეხვედრას ესწრებოდნენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, პროფესიული სასწავლებლების დირექტორები და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტები. დღის წესრიგი მოიცავდა ინკლუზიურ განათლებაში არსებული ინიციატივების გაცნობას, ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდასაჭერად შექმნილი პროდუქტებისა და განხორციელებული აქტივობების პრეზენტაციას, პანელურ დისკუსიას, კერძოდ, ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით საკითხების განხილვას. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგები, რომლის წარდგენის შემდეგ გაიმართა დისკუსია, გამოიკვეთა გამოწვევები და მიღწეული შედეგები, განისაზღვა სამომავლო რეკომენდაციები.

2019 წლის 14 ივნისს, სსიპ - ქ. თბილისის N200 საჯარო სკოლაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, გაიმართა გამოფენა. აღნიშნული ღონისძიება გლდანის რაიონის გამგეობის, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისა“ და სხვადასხვა კომპანიების მხარდაჭერით ჩატარდა.

2019 წლის აპრილი-მაისის თვეში, გლდანის კოლეჯში ინტენსიურად ხორციელდებოდა საჯარო სკოლების ექსკურსიები, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები ეცნობოდნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს. მათ მიეცათ საშუალება გარკვეული სპეციალობები თავად მოესინჯათ.

2019 წლის 11 ივნისს კოლეჯი შეუერთდა გლდანის რაიონში ხის დარგვის აქციას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმაც. აქცია პატარა ტბის ტერიტორიაზე გაიმართა

2019 წლის 15-16 ივნისს, რესპუბლიკის მოედანზე „ქართულ-გერმანული დღეები“ გაიმართა. განხილვის თემები: პროფესიული განათლება, მისი მნიშვნელობაზე, როგორც პიროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ისე ეკონომიკური განვითარებისთვის. კოლეჯის სსსმ სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც საორგანიზაციო საკითხებში, ისე კონფერენციებზე მონაწილეობით. ღია ცის ქვეშ მოწყობილ სივრცეში, ხვდებოდნენ სტუმრებს, აძლევდნენ მიმართულებას, ინფორმაციას ღონისძიების შესახებ, აცნობდნენ კოლეჯის მიმდინარე პროგრამებს.

2019 წლის 28 ივნისს გაიმართა შიდა ტურნირი ფეხბურთში, მონაწილეობა მიიღეს სსსმ სტუდენტებმაც, ტურნირი „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამის სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა.

2019 წლის 25 ივლისს, კოლეჯში, ჩატარდა შიდა ტურნირი ჭადრაკსა და შაშში. ჭადრაკის შიდა ტურნირი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის გამარჯვებით დასრულდა. მასვე გარდამავალი თასი გადაეცა.

2019 წლის 25 ივლისს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო 1. ინკლუზიური პროფესიული განათლების წესის და პირობების დოკუმენტის განხილვა, რომელიც მუშავდება სამინისტროს მიერ; 2. ქვეპროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ფარგლებში 2020 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების/აქტივობების დაგეგმვა. აღნიშნულ შეხვედრაზე პროგრამის ხელმძღვანელმა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში პირის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი და პირობები (სამუშაო ვერსია), ძირითად საკითხებს წარმოადგენდა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია საყოველთაო რეგისტრაციის დროს; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართვა იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ჩართვა პროფესიული მომზადების პროგრამაში და პროფესიული გადამზადების პროგრამაში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება და დადასტურება; ინკლუზიური განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები; ინკლუზიურ პროფესიულ

განათლებაზე მონიტორინგი; ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ; ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალისტები/ადამიანური რესურსი.

2019 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა 2018 წელს შემუშავებული პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენების გაცნობა ალტერნატიული ტესტირების დაგეგმვისა და უზრუნველყოფის პროცესში, ასევე აღნიშნული ინსტრუმენტის პილოტირება.

2019 წელი, საშემოდგომო მიღება:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა 2019 წლის 2-15 ოქტომბერს. კოლეჯმა მიღება გამოაცხადა რამდენიმე მოდულურ პროგრამებზე, ასევე დუალურ პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია".

საშემოდგომო მიღების პერიოდში, დარეგისტრირებულთა შორის, სპეციალური საჭიროება მითითებული ჰქონდა 5 აპლიკანტს, თითოეულ მათგანს მივაწოდეთ ინფორმაცია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ, გავაცანით შესაბამისი დასაქმების სფეროები, პოზიციები. ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენდა, აპლიკანტებს თავად მიეღოთ გადაწყვეტილება და აერჩიათ სასურველი სპეციალობა საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 4 აპლიკანტს დაუდასტურდა სპეციალური საჭიროება, ამასთანავე, აუცილებელი გახდა ალტერნატიული ტესტირების განრიგის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობით, ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაიგეგმა ალტერნატიული ტესტირება, შერჩეულ იქნა შესაბამისი აქტივობა და ბიჯები, მომზადდა შესაბამისი დავალებები და საჭირო რესურსი.

2019 წლის 24 ოქტომბერს ჩატარდა ალტერნატიული ტესტირება. თითოეულმა აპლიკანტმა შეასრულა დაგეგმილი აქტივობა პროფესიული მასწავლბელის ინსტრუქციების გათვალისწინებით. ტესტირებას ესწრებოდნენ კომისიის წევრები, კერძოდ, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და რიგ შემთხვევაში, აპლიკანტის მშობელი. აპლიკანტებმა წარმატებით გაიარეს ალტერნატიული ტესტირება და შესაბამისად, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია თითოეულს სწავლა გაეგრძელებინათ მითითებულ პროფესიულ პროგრამაზე.

2019 წლის 29 ოქტომბერს კოლეჯში გაიმართა მასშტაბური ღონისძიება. საქართველოს მთავრობამ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში ოფიციალურად გახსნეს „განათლება დასაქმებისთვის" (skills4jobs) პროგრამის მეორე ფაზა, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი 48.85 მილიონ ევროს გამოყოფს დასაქმების, ცოდნა-უნარების განვითარებისა და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემაში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად. ოფიციალური განცხადებებისა და პანელური დისკუსიების გარდა ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო „პროფესიული განათლებისა და შრომითი ბაზრის განვითარების მხარდაჭერის ახალი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტები, ასევე მოეწყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დასაქმების ინტერაქტიული გამოფენა. გახსნას დაესწრო საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა თუ ადგილობრივი პარტნიორების 150-მდე წარმომადგენელი. აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები სსსმ პროფესიული სტუდენტებიც, რომლებიც მასპინძლობდნენ სკოლის მოსწავლეებს, ათვალიერებინებდნენ კოლეჯს, გამოფენაზე წარმოდგენილ ნაშრომებსა და ნაკეთობებს.

2019 წლის 30 ოქტომბერს დავესწარი სემინარს „ინკლუზიური განათლება, სოციალური მეწარმეობა და დასაქმება", რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ორგანიზებული იყო. სემინარზე განხილული იყო ქართული და ფინური მოდელი, მომხსენებელთა პრეზენტაციები მოიცავდა ორი ქვეყნის განათლების სისტემისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული განათლებისა და დასაქმების მოდელის შესახებ ინფორმაციას. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია, სადაც მონაწილეობას ვიღებდით, როგორც ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირები, ასევე სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დასმულ კითხვებს პასუხობდნენ ფინეთიდან მოწვეული სპეციალისტები, გვიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, მიღწევებსა და არსებულ გამოწვევებს.

2019 წლის 17 დეკემბერს, კოლეჯმა „ეროვნულ სკრინინგ ცენტრს" უმასპინძლა. ცენტრმა საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა უფასო გამოკვლევებთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ სსსმ პირები.

სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა ამომწურავად უპასუხა მომსახურების შესახებ სტუდენტებისა და პედაგოგების მიერ დასმულ შეკითხვებს.

2019 წლის 18 დეკემბერს, კოლეჯში „კარფურის" დასაქმების ფორუმი გაიმართა, სადაც სტუდენტებისთვის საინტერესო ინდივიდუალური გრაფიკი და პირობები იქნა შეთავაზებული. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები აქტიურად იყვნენ ჩართულნი აღნიშნულ შეხვედრაზე. კარფური წლების განმავლობაში თანამშრომლობს გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან და კოლეჯის სრულწლოვან სტუდენტებს დასაქმების მორგებულ პირობებს სთავაზობს.

2019 წლის 19 დეკემბერს, გაიმართა შიდა ტურნირი შემეცნებით-სპორტულ თამაშში „რა? სად? როდის?", რომელშიც მონაწილეობდა კოლეჯის სტუდენტებისგან შემდგარი 10 ექვსკაციანი გუნდი. ზამთრის სეზონის გამარჯვებული გუნდი გახდა "ტერაბაიტი", ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული პროგრამის სტუდენტები (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი), რომელთაც დაძაბული პაექრობის შედეგად, პირველობის გარდამავალი თასი დაიმსახურეს.

2019 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა ინკლუზიური პროფესიული განათლების 2019 წლის შემაჯამებელი შეხვედრა, რომელსაც კოლეჯის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილული იყო 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები, მიღწევები და წარმატებული შემთხვევები. ასევე, პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევები.

სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება.

გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად იმართება შეხვედრები თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. სკოლის მოსწავლეები, მათ შორის, სსსმ და შშმ პირები სტუმრობენ კოლეჯს სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.